აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაცია

დამფუძნებელ წევრთა რიგგარეშე კრების

ოქმი 3

6.10.2016 წ. **ქ. თბილისი**

ესწრებოდნენ: ფედერაციის წევრები: აფრიდონიძე ელგუჯა, ახობაძე ოთარი, აჯიაშვილი მეგი, ლომსაძე დავითი, ოქრომჭედლიშვილი ალექსანდრე, პაპასქუა იური, შიშმანაშვილი ზაქარია.

მოწვეული პირები: ფუტკარაძე სულიკო, ცერცვაძე თეიმურაზ, ჯანგულაშვილი ლევან.

არ ესწრებოდა: ბაკაშვილი ნიკოლოზი (როგორც წევრობიდან გასული წევრი).

თავმჯდომარეობდა: ოთარ ახობაძე

მდივანი: დავით ლომსაძე

დღის წესრიგი:

1. აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის წესდების ახალი რედაქციის მიღება;

2. ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარის (ფედერაციის პრეზიდენტის) არჩევა;

3. ფედერაციის გამგეობის წევრების არჩევა;

4. მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს: ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის იური პაპასქუას ინფორმაცია ფედერაციის წევრთა შესახებ: ფედერაციის მოქმედი წესდების მე-4 მუხლის 4.7 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მოცემული თარიღისათვის ფედერაციის სრულფასოვანი წევრები არიან ფედერაციის დამფუძნებლები, რომლებიც ამავდროულად ითვლებიან ფედერაციის წევრებად. ფედერაციის გამგეობამ მიიღო განცხადება გამგეობის შემადგენლობიდან და ფედერაციის წევრობიდან პირადი მოტივაციით ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებლის ნიკოლოზ ბაკაშვილის გასვლის თაობაზე. ფედერაციის გამგეობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაკმაყოფილდეს მისი განცხადება და აღნიშნულზე შუამდგომლობით შემოდის კრების წინაშე.

კრებას ესწრება 8 წევრიდან 7 (ანუ 3/4 -ზე მეტი).

ინფორმაცია ცნობად იქნა მიღებული.

დადგინდა: ფედერაციის მოქმედი წესდების 3.1.4 პუნქტის თანახმად, კრება გადაწყვეტილებაუნარიანია.

კრება შეუდგა მუშაობას.

კრებამ განიხილა და დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. **მოისმინეს:** ოთარ ახობაძის ინფორმაცია აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის წესდების ახალი რედაქციის შესახებ.

აღინიშნა: წესდების ახალი რედაქცის შემუშავება და მიღების აუცილებლობა განაპირობა ფედერაციის დაფუძნებიდან დღემდე განვლილ პერიოდში შეცვლილმა გარემოებება.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილმა, ოთარ ახობაძემ, მეგი აჯიაშვილმა, რომლებმაც მოიწონეს წარმოდგენილი წესდების ახალი რედაქცია და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი მიღება.

კენჭი ეყარა წინადადებას.

გადაწყდა: დამტკიცდეს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის წესდების ახალი რედაქცია.

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით ოთარ ახობაძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ ფედერაციის გამგეობამ განიხილა განცხადება ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარის (ფედერაციის პრეზიდენტის) პოსტიდან ჩემი გადადგომის თაობაზე და მიზანშეწონილად მიიჩნია შუამდგომლობით შემოვიდეს კრების წინაშე მისი დაკმაყოფილების შესახებ. ფედერაციის გამგეობა ამ პოსტზე რეკომენდაციას უწევს **ელგუჯა აფრიდონიძეს.**

აღინიშნა: ოთარ ახობაძემ წარმატებით იღვაწა ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე. მაგრამ პირადი მოტივაციით, ვადაზე ადრე ითხოვს თანამდებობიდან განთავისუფლებას. მის ამ გადაწყვეტილებას იზიარებს ფედერაციის გამგეობა და ითხოვს დაკმაყოფილებას. ელგუჯა აფრიდონიძე შესაფერისია ამ პოსტისთვის, აქვს გამოცდილება და შეუძლია გაუძღვეს საქმეს.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილმა, დავით ლომსაძემ, მეგი აჯიაშვილმა, რომლებმაც ღიად დაუჭირეს მხარი ელგუჯა აფრიდონიძის კანდიდატურას.

კენჭი ეყარა წინადადებას ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარის პოსტიდან ოთარ ახობაძის განთავისუფლებისა და მის ნაცვლად ელგუჯა აფრიდონიძის კანდიდატურის დამტკიცების თაობაზე.

გადაწყდა: დაკმაყოფილდეს ოთარ ახობაძე განცხადება და ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარედ (ფედერაციის პრეზიდენტად) არჩეულ იქნას ელგუჯა აფრიდონიძე.

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

3. მოისმინეს: ელგუჯა აფრიდონიძის ინფორმაცია ფედერაციის გამგეობის წევრთა რაოდენობისა და ახალ შემადგენლობაში კანდიდატების შესახებ. ასევე, აღნიშნა, რომ ფედერაციის გამგეობაში შემოსულია **ნიკოლოზ ბაკაშვილის** განცხადება გამგეობის შემადგენლობიდან და ფედერაციის წევრობიდან მისი გასვლის შესახებ. ფედერაციის გამგეობა ფედერაციის დამფუძნებელ წევრთ კრების წინაშე შემოდის შუამდგომლობით დაკმაყოფილდეს ნიკოლოს ბაკაშვილის განცხადება.

კენჭი ეყარა წინადადებას ნიკოლოზ ბაკაშვილის გამგეობის შემადგენლობიდან და ფედერაციის წევრობიდან გასვლის თაობაზე.

გადაწყდა: დაყმაყოფილდეს ნიკოლოზ ბაკაშვილის განცხადება ფედერაციის გამგეობის შემადგენლობიდან და ფედერაციის წევრობიდან მისი გასვლის თაობაზე.

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

აღინიშნა: წესდების ახალი რედაქციის თანახმად, ფედერაციის გამგეობა განსაზღვრულია 9 კაცის შემადგენლობით. აქედან, თავმჯდომარე უკვე არჩეულია. ასარჩევია გამგეობის 8 წევრი.

ფედერაციის მიზნების უზრუნველაყოფად და ახალი რეალობების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ გამგეობის შემადგენლობის ძირითადი ნაწილი დაკომპლექტდეს ფედერაციის წევრთა შემადგენლობისგან და შეივსოს ახლებითაც. გამოითქვა აზრი იმის შესახებაც, რომ გამგეობის შემადგენლობაში ჩაირთოს აგრეთვე აჭარის რეგიონის წარმომადგენელიც. მათგან ფედერაციაში გაწევრიანების თაობაზე ფედერაციის გამგეობაში შემოსულია განცხადებები. ისინი თანახმანი არიან ფედერაციის გამგეობაში ასარჩევად იყარონ კენჭი და არჩევის შემთხვევაში იმუშავებენ ფედერაციის ინტერესების უზრუნველაყოფად.

ფედერაციის გამგეობა შუამდგომლობით შემოდის გამგეობის შემადგენლობაში არჩეულ იქნან შემდეგი პირები: ახობაძე ოთარ, აჯიაშვილი მეგი, ლომსაძე დავითი,

ოქრომჭედლიშვილი ალექსანდრე, პაპასქუა იური, ფუტკარაძე სულიკო, ცერცვაძე თეიმურაზ, ჯანგულაშვილი ლევან.

აზრი გამოთქვეს: იური პაპასქუამ, ელგუჯა აფრიდონიძემ, დავით ლომსაძემ ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილმა, მეგი აჯიაშვილმა, რომლებიც საბოლოოდ შეჯერდნენ იმაზე, რომ დასახელებული კანდიდატები ღირსეული ადამიანები არიან და შეუძლიათ წარმატებით იმუშაონ გამგეობის შემადგენლობაში.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ კანდიდატებს.

გადაწყდა: გამგეობის შემადგენლობაში შევიდეს: ახობაძე ოთარ, აჯიაშვილი მეგი, ლომსაძე დავითი, ოქრომჭედლიშვილი ალექსანდრე, პაპასქუა იური, ფუტკარაძე სულიკო, ცერცვაძე თეიმურაზ, ჯანგულაშვილი ლევან.

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით, გამოითქვა მოსაზღება, რომ გამგეობის ახალმა შემადგენლობამ უახლოეს სხდომაზე განიხილოს ფედერაციაში წევრთა გაწევრიანების, საიტის ამოქმედების, კომიტეტის დებულებების დამტკიცების და შემადგენლობის არჩევის საკითხები, ფედერაციამ საქმიანობა გადააწყოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტორული სამიანობის შესახებ“ ახლადმიღებული საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაადგინეს:

1. დამტიცდეს ა(ა)იპ საქრთველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის წესდების ახალი რედაქცია თანდართული სახით;

- დამტკიცდეს ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარედ (ფედერაციის პრეზიდენტად) 3 წლის ვადით აფრიდონიძე ელგუჯა, საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1956 წლის 3 იანვარს, პ/ნ 01010011704, მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის ფერდ. მე-2 მ/რ მე-4 კვარტ. კორპ. 2, ბინა 58;

2. დამტკიცდეს ფედერაციის გამგეობის შემადგენლობა 3 წლის ვადით შემდეგი შემადგენლობით:

- **ახობაძე ოთარ,** საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 37001008653, დაბადებული 1669 წლის 5 ივლისს, მისამართი: სამტრედია, დ. აღმაშენებლის გამზირი, III ჩიხი, №10;

- **აჯიაშვილი მეგი,** საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 01008019363, დაბადებული 1959 წლია 23 მარტს, მისამართი: თბილისი, წყნეთის ქ. კორპ. 4, ბინა 7;

- **ლომსაძე დავითი,** საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1970 წლის 27 იანვარს, პ/ნ 01009009284, მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №2, ბინა 27;

- **ოქრომჭედლიშვილი ალექსანდრე,** საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1955 წლის 20 ნოემბერს, პ/ნ 01022004461, მისამართი: თბილისი, თემქა, მე-11 მ/რ, 1 კვარტ., მე-11 კორპუსი, ბ. 33;

- **პაპასქუა იური,** საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1956 წლის 3 მარტს, პ/ნ 01001026257, მისამართი: თბილისი, გლდანის მე-3 ა მ/რ, კორპ.24-ე, ბინა 61;

- **ცერცვაძე თეიმურაზ,** საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1971 წლის 2 ივლისს, პ/ნ 18001006443, მისამართი, თბილისი, ცოტნე დადიანის 148, ბ.12;

- **ფუტკარაძე სულიკო** საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1950 წლის 10 აგვისტოს, პ/ნ 61001043152, მისამართი: ხელვაჩაური, სოფელი ახალსოფელი;

- **ჯანგულაშვილი ლევან,** საქართველოს მოქალაქე, დაბადებული61982 წლის 25 ნოემბერს, პ/ნ 01010011132, მისამართი: თბილისი, კოსტავას 75 გ, 1 სადარბაზო, ბ. 7.

- **დაევალოს ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარეს (ფედერაციის პრესიდენტს) უზრუნველყოს კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, წესდების ახალი რედაქციისა და საჯარო რეესტრში სავალდებულო სარეგისტაციო ინფორმაციის რეგისტრაცია.**

ხელმოწერები:

აფრიდონიძე ელგუჯა

ახობაძე ოთარი

აჯიაშვილი მეგი

ლომსაძე დავითი

ოქრომჭედლიშვილი ალექსანდრე

პაპასქუა იური

შიშმანაშვილი ზაქარია

ცერცვაძე თეიმურაზ

ფუტკარაძე სულიკო

ჯანგულაშვილი ლევან